

# საინფორმაციო ბიულეტენი

## დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

### DRI -ის საქმიანობა (იანვარი)

- DRI: მოძალადე ჯგუფების თავდასხმები ხელისუფლების წახალისებელია



- DRI: სააპელაციო სასამართლომ სიძულვილით მოტივირებული ძალადობის წამახალისებელი განაჩენი მიიღო

### DRI ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების მონიტორინგს აგრძელებს

- DRI: „ქართულ ოცნებას“ ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით საკუთარი გეგმაც არ შეუსრულებია

- DRI: ევროკომისიის მეოთხე რეკომენდაცია, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებას გულისხმობს, ამ ეტაპზე შესრულებულად ვერ ჩაითვლება

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

მართველი პარტიის მიერ საკუთარი გეგმის შესრულების პროგრესის განსასაზღვრად, DRI-მ პარლამენტს მიმართა. ევროკომისიის მე-8 რეკომენდაცია მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვას და ძალადობის ფაქტებზე ეფექტიან რეაგირებას ითხოვს. პასუხად გეგმის შესასრულებლად „აქტიურად მუშაობის“ დასტური და „ახლო მომავალში“ უფრო კონკრეტული ინფორმაციის მიღების დაპირება მივიღეთ. ამ დრომდე ღია წყაროებში არ იძებნება ევროკომისიის მე-8 რეკომენდაციის შესრულების კუთხით საქართველოს პარლამენტის მიერ განუული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

მე-4 რეკომენდაცია გულისხმობდა ისეთი ანტიკორუფციული ორგანოს შექმნას, რომელიც ეფექტურად შეძლებდა კორუფციასთან ბრძოლას ყველა დონეზე. „ქართული ოცნების“ გეგმა ევროკომისიის სულისკვეთებას მნიშვნელოვნად აცდენილი იყო. ინიცირებული პროექტი ფორმალურადაც არ ეხებოდა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების საკითხს, მამხილებელთა დაცვას, პარტიების დაფინანსებისა და საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგისთვის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას.